ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

2022 წლის IV კვარტლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დებულებითა და კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

ზედამხედველობის სამსახური, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება"– სთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების ღონისძიებებში. 2022 წლის IV კვარტალში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 65848.98 ლარი. ფიზიკური პირებიდან შემოსულმა თანხის ოდენობამ შეადგინა 6968 ლარი, ხოლო იურუდიული პირებიდან შემოსულმა - 58880.98 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერმანენტულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაბინძურების, იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები და ასევე, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

18 სექტემბერს, მსოფლიო დასუფთავების დღესთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო დასუფთავების აქციები.

დასუფთავებული იქნა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიებზე ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელები. ეწყობოდა დასუფთავების აქციები, რომლის ფარგლებშიც დასუფთავდა ცენტრალური პარკი - სანატორიუმ „მედეას" მიმდებარე ტერიტორია და ეზო, ცენტრალური პარკი - ტურიზმის ცენტრის, სამუსიკო სკოლისა და კორტების, ახალგაზრდობის ცენტრის, ცივი ტბის, ცენტრალური პარკი - სპორტდარბაზის ეზო, ცენტრალური პარკი - საკონცერტო დარბაზ ,,ივერიისა'' და მუზეუმის ეზოები და სამხატვრო სკოლის ეზოს მიმდებარე ტერიტორიები. აქციის ფარგლებში დასუფთავდა 25300 მ2 ტერიტორია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 90 ადამიანი და შეგროვებულმა ნარჩენმა შეადგინა დაახლოებით2200 კგ.

ზედამხედველობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მიერ გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა გაცემულია -32 ობიექტზე, ექსპლოატაციაში მიღებულ იქნა 12 ობიექტი დარეგისტრირდა ბინათმესაკუთრეთა 5 ამხანაგობა გაიცა ნებართვა მუნიციპალიტეტის სოფლებში (ზედა და ქვედა ქვიტირი, მუხიანი, ბროწეულა) გაზიფიცირების თაობაზემშენებლობის მოსაკრებლებით ბიუჯეტში შემოსულია- 4821 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოავლინა, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული უსახური შენობები. შედგა შესაბამისი ბაზა, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს აღნიშნული შენობების ფასადების იერსახის მოწესრიგება.

გამოვლენილ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტები და მათ წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა კანონით განსაზღვრული ღონისძიებები. სამშენებლო სამართალდარღვევებიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 4200 ლარი.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა კომუნალურ სამსახურთან, რაც შესაძლებელს ხდიდა ოპერატიულად აღმოფხვრილიყო სხვადასხვა კომუნალურ ქსელზე წარმოშობილი დაზიანებები.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის იასონ გაბუნია